

ტექნიკური დავალება

შპს ქართლის ქარის ელექტროსადგურის მიერ კომპანიის პარტნიორების (სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“ და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“) კუთვნილი აქციების, პირველადი საჯარო შემოთავაზების პროცესთან დაკავშირებით, საფინანსო-საბროკერო მომსახურების შესყიდვაზე.

საკონსულტაციო კომპანიის მიერ შესასრულებელი სამუშაოები მოიცავს შემდგომს:

1. ინდუსტრიის, ემიტენტის საბაზრო პოზიციის და ისტორიული ფინანსური მონაცემების მიმოხილვა და ანალიზი.
2. ემიტენტის ბიზნეს გეგმის მიმოხილვა და დაშვებების და პროგნოზების ანალიზი
3. კომპანიის შეფასებისას, კორპორატიული სტრუქტურის შეთავაზების ზომის, სტრუქტურისა და გასაყიდი წილის და ტრანზაქციის შემდგომი წილობრივი (აქციონერთა) სტრუქტურის განსაზღვრა.
4. IPO სტრატეგიის პროცესის განრიგის განსაზღვრა და მისი კოორდინაცია.
5. კონსულტაცია მოზიდული სახსრების მიზნობრიობის განსაზღვრაში, ასევე რეკომენდაციების გაცემა ხმის მიცემის უფლებებისა და დივიდენდების გაცემის პოლიტიკის შემუშავებაზე.
6. IPO-სთვის საჭირო შიდა რესურსების იდენტიფიცირება
7. პროსპექტუსის მომზადება იურისტებისა და სხვა მრჩეველების ჩართულობით
8. საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციის გაწევა სხვა მრჩეველების შერჩევაში
9. არსებულ რეგულაციებთან შესაბამისობის შემოწმება (ასეთი რეგულაციების არსებობის შემთხვევაში)
10. საქართველოს ეროვნულ ბანკთან და სხვა მარეგულირებელ ორგანოებთან კომუნიკაციაში დახმარების გაწევა
11. ემიტენტის აქციების საქართველოს საფონდო ბირჟაზე განთავსებასა და ცენტრალურ დეპოზიტარში კომპანიის დაშვებაში დახმარება.
12. ე.წ „Bookbuilding“-ის ფასწარმოქმნის და აქციების გადანაწილების კოორდინაცია.
13. მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება პოტენციურ ინვესტორებთან კომუნიკაციისთვის.

ბაზრის კვლევაში მონაწილე კომპანიებმა ასევე უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია მსგავსი მომსახურების განხორციელების გამოცდილების შესახებ.